

წიალის სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის პროექტის განხილვა – Agro News

agro.jrc.ge/წიალის-სექტორის-სახელმწი



თბილისში, „მწვანე ალტერნატივის“ ორგანიზებით, წიალის სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის პროექტი განიხილეს. სამუშაო შეხვედრას წიალის ეროვნული სააგენტოს, გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ისინი წიალის სექტორის გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე, სექტორთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით და სხვა პრობლემურ საკითხებზე მსჯელობდნენ. მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს წიალით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის საკითხებზე. წიალის სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის პროექტი ეროვნულმა სააგენტომ 2019 წელს მაისის ბოლოს გამოაქვეყნა. სააგენტოს ინფორმაციით, უახლოეს მომავალში პოლიტიკის დოკუმენტი საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება. დღევანდელი შეხვედრა გაიმართა Global Forest Watch (GFW)-ის პროექტის ფარგლებში, რომელსაც „მწვანე ალტერნატივა“ ახორციელებს.

სინქრონები:

- **ირაკლი მაჭარაშვილი** – არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივის” კონსერვაციის პროგრამის კოორდინატორი;
- **ეკატერინე ნაკაშიძე** – პროექტ Global forest watch-ის ეროვნული კოორდინატორი;
- **კახა არცივაძე** – ბიომრავალფეროვნების სახეობათა კონსერვაციის ცენტრ

“ნაკრესის” წარმომადგენელი.



https://youtu.be/J75lcEhK_j8